ავტორები: დავით კეშელავა, გიორგი ნებულიშვილი

მაკროეკონომიკური მიმოხილვა: მშპ-ის ზრდის ნელი ტემპის, ინფლაციის მაჩვენებლების სტაბილიზაციის და სავალუტო ნაკადების დინამიკის ანალიზი



რეალური მშპ-ის ზრდის წლიური მაჩვენებლები

წყარო: საქსტატი, ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი

შეჯამება

2023 და 2024 წლებში მოსალოდნელია გლობალური ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის 3,0%-მდე შემცირება 2022 წელს არსებული 3,5%-დან. საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) 2023 წლის აპრილის პროგნოზებთან შედარებით, 2023 წელს მოსალოდნელია ზრდის მაჩვენებლის 0,2 პროცენტული პუნქტით ზრდა, 2024 წლის პროგნოზი კი უცვლელია. აღსანიშნავია ისიც, რომ 2023-2024 წლების პროგნოზი მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება 2000-2019 წლებში დაფიქსირებულ ისტორიულ საშუალო წლიურ მაჩვენებელს (3,8%). გარდა ამისა, იგი მნიშვნელოვნად ჩამორჩება სხვადასხვა შემოსავლის მქონე ჯგუფებში დაფიქსირებულ ისტორიულ საშუალო მაჩვენებლებს, როგორც მთლიანი შიდა პროდუქტის, ისე ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის ჭრილში. მომსახურების სფეროში არსებული უფრო მაღალი მაჩვენებლების მიუხედავად, 2022-2023 წლებში ზრდის მაჩვენებლის კლება ძირითადად განპირობებულია მოწინავე ეკონომიკის მქონე ქვეყნებში წარმოების შემცირებით და სხვა სპეციფიკური ფაქტორებით. ამის საპირისპიროდ, 2023-2024 წლებში განვითარებადი ბაზრის და ეკონომიკის მქონე ქვეყნებში მოსალოდნელია სტაბილური ეკონომიკური ზრდა, თუმცა მოსალოდნელია შესამჩნევი განსხვავებები კონკრეტულ რეგიონებში დაფიქსირებულ მაჩვენებლებს შორის. წლიურ ჭრილში, 2022 წლის მეოთხე კვარტალში, გლობალური ზრდის მაჩვენებელმა რეკორდულად დაბალ ნიშნულს მიაღწია. მიუხედავად ამისა, სავარაუდოა, რომ ზოგიერთ განვითარებულ ეკონომიკაში კლების მაჩვენებელი უმაღლეს ნიშნულს მხოლოდ 2023 წლის მეორე ნახევარში მიაღწევს (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, 2023).

საქართველოს მეზობელ ქვეყნებში 2023 წელს ნელი, მაგრამ ზომიერი ზრდის მაჩვენებლებია მოსალოდნელი: სომხეთში – წლიური +5,5%, აზერბაიჯანში – წლიური +3%, თურქეთში – წლიური +3,0%. მეორე მხრივ, მოსალოდნელია რუსეთის ეკონომიკის 1,5%-ით ზრდა (აღნიშნული მაჩვენებელი დაკორექტირდა მანამდე არსებული 0.7%-დან). მოსალოდნელია განვითარებადი ბაზრების და ეკონომიკის (EMDE) ქვეყნებში გამოშვების მაჩვენებლის ზრდაც: 2023 წელს – 4,0 %-ით, ხოლო 2024 წელს – 4,1 %-ით.

საქსტატის მიერ ჩატარებული მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდის მაჩვენებლის უახლესი შეფასებით, საქართველოს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 2023 წლის 1-ელ კვარტალში 7,7%-ს შეადგენდა, მე-2 კვარტალში კი – 7,5%-ს. გარდა ამისა, მოსალოდნელია, საინვესტიციო დინამიკის გაუმჯობესება. აღნიშნულის შედეგად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2023 წლის მშპ-ის რეალური ზრდის პროგნოზი მანამდე არსებული 5%-დან (სებ, მაისი 2023) 6%-მდე დააკორექტირა (სებ, აგვისტო 2023).

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის მიერ პროგნოზირებული მშპ-ის ზრდის მაჩვენებელი 2023 წლისთვის წლიურ 8,5%-ს შეადგენს (იხ. გრაფიკი 1) (სექტემბერი, 2023). თუმცა **ამჟამად აღნიშნული მაჩვენებლები შესაძლოა გადაჭარბებული იყოს.** ეს იმითაა გამოწვეულია, რომ ქართულ მონაცემებში არ არსებობს რუსეთის მიერ უკრაინაში ომის დაწყების, დაწესებული სანქციების და ფართომასშტაბიანი მიგრაციის სხვა ანალოგი.

ინფლაცია

საქსტატის ბოლო მონაცემების თანახმად, სამომხმარებლო ფასების ინდექსის (CPI) წლიურმა ინფლაციამ 2023 წლის მე-2 კვარტალში 1,6% შეადგინა, რაც 1,4 პროცენტული პუნქტით ნაკლებია მიზნობრივ 3%-ზე. მნიშვნელოვნად შემცირდა ინფლაციაზე გარე ფაქტორების ზეგავლენა. კერძოდ, გასული წლის განმავლობაში გლობალურ ბაზარზე პირველადი საკვები პროდუქტების ფასები დაეცა, ხოლო საერთაშორისო გადაზიდვის ხარჯები თითქმის პანდემიამდე არსებულ მაჩვენებელს დაუბრუნდა. ამ ფაქტორებმა, ლარის კურსის გამყარებასთან კომბინაციაში, საქართველოში იმპორტირებული საქონლის ფასების კლება გამოიწვია. გარდა ამისა, ინფლაციის მაჩვენებლის შემცირებაში გადამწყვეტ როლს თამაშობს ხისტი მონეტარული პოლიტიკა და დაბალი ინფლაციური მოლოდინები. 1-ელ კვარტალთან შედარებით, ზომიერად გაიზარდა სურსათის ფასებიც (მხოლოდ 3,1%-ით) და ინფლაციის მაჩვენებლის არაუმეტეს 1.0 პროცენტული პუნქტი შეადგინა. კომუნალური გადასახადები, წყლის, ელექტროენერგიის, გაზის და სხვა საწვავის ფასები წლიური 6,2%-ით გაიზარდა (რაც ინფლაციის წლიური მაჩვენებლის 0,6 პროცენტულ პუნქტს შეადგენს).

საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ, სექტემბერი 2023), ბოლო პროგნოზის თანახმად, სხვა ფაქტორებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ცვლილებების არარსებობის გათვალისწინებით, მოსალოდნელია, რომ 2023 წლის მომდევნო თვეებში ინფლაციის მაჩვენებელი სამიზნე 3%-ზე ნაკლები იქნება, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში მის სიახლოვეს შენარჩუნდება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოკლევადიანი ტენდენციის ინფლაციის სამიზნე მაჩვენებლის ქვემოთ ყოფნა ხელს უწყობს გრძელვადიანი ინფლაციური მოლოდინების გაუმჯობესებას.

საგარეო სექტორები: ვაჭრობა, ტურიზმი, ფულადი გზავნილები, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

საქართველოს საგარეო ვაჭრობა იზრდება, რაც ორი ფაქტორითაა განპირობებული. უპირველეს ყოვლისა, ლარის კურსის გამყარებამ შეამცირა ქვეყნის ექსპორტული საქონლის კონკურენტუნარიანობა, რის შედეგადაც შემცირდა საშინაო ექსპორტი (სებ, აგვისტო 2023). მეორე მხრივ, მეზობელი ქვეყნების მხრიდან გაიზარდა მოთხოვნა ავტომობილებზე, რამაც საქართველოდან განხორციელებული რეექსპორტის ზრდა განაპირობა. საერთო ჯამში, რეექსპორტის აღნიშნულმა ზრდამ გადაწონა საშინაო ექსპორტის შემცირება, რამაც გამოიწვია საქონლის ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა (წლიური 14.8%-ით) (საქსტატი).

ექსპორტის ამგვარი ზრდა, უპირველეს ყოვლისა, სამომხმარებლო პროდუქტებზე გაზრდილი მოთხოვნით არის გამოწვეული. გარდა ამისა, საინვესტიციო საქონლის ექსპორტის ზრდამ, მცირე დადებითი წვლილი შეიტანა მთლიანი ექსპორტის ზრდის მაჩვენებელში (სებ, აგვისტო 2023).

სამომხმარებლო პროდუქტების ექსპორტის ზრდა დიდწილად განპირობებულია ავტომობილების რეექსპორტით, რომელთა გაყიდვაც ხდება არა მხოლოდ რეგიონის, არამედ ცენტრალური აზიის ქვეყნებშიც. საქართველოდან რეგულარულად ხორციელდება მინერალური წყლების, ალკოჰოლური სასმელების, სიგარეტებისა და ყურძნის ღვინოების ექსპორტიც. მიუხედავად ამისა, შემცირდა შუალედური საქონლის ექსპორტი, რაც უმეტესწილად განპირობებულია აშშ-სა და რუსეთში ფეროშენადნობის ექსპორტის შემცირებით, ჩინეთსა და ბულგარეთში – სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, ხოლო პერუსა და სომხეთში – ქიმიური სასუქების ექსპორტის შემცირებით (საქსტატი). საინვესტიციო საქონლის კუთხით, ექსპორტის მთლიანი მაჩვენებლის ზრდაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ტრაქტორებისა და საქონლის ტრანსპორტირებისთვის განკუთვნილი ავტომობილების, აგრეთვე მონაცემების ავტომატური დამუშავების მოწყობილობების ექსპორტმა.

გაზრდილი ეკონომიკური აქტივობისა და ლარის გამყარების გამო, იმპორტზე მოთხოვნა კვლავ იზრდება. 2023 წლის მე-2 ნახევარში საქონლის ექსპორტი წლიური 11,8%-ით გაიზარდა. ეს უმეტესწილად განპირობებული იყო სამომხმარებლო პროდუქტების, მათ შორის ავტომობილების, მედიკამენტების და სატელეფონო აპარატების იმპორტის ზრდით. თითქმის არ შეცვლილა შუალედური საქონლის იმპორტის მაჩვენებელი. მიუხედავად ამისა, მაღალი იყო რკინის და ფოლადის ნაწილებისა და მინის ნაწარმის შესყიდვის მაჩვენებელი (საქსტატი).

მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რეგიონის ქვეყნებიდან განხორციელებულმა იმპორტმაც, განსაკუთრებით აღსანიშნავია თურქეთიდან (ძირითადად მედიკამენტების იმპორტი) გერმანიიდან, შეერთებული შტატებიდან და იაპონიიდან (ძირითადად ავტომობილების იმპორტი). ამის საპირისპიროდ, სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების შესყიდვების შემცირების შედეგად, შემცირდა იმპორტი სომხეთიდან.

2023 წლის მე-2 კვარტალში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა 363 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა (სებ, BOP-6). მდგომარეობის ამგვარი გაუმჯობესება, უპირველეს ყოვლისა, განპირობებული იყო სხვადასხვა მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლების ზრდით, მათ შორის ტურისტული მოგზაურობებიდან მიღებული შემოსავლებით და საზღვარგარეთ მომუშავეთაგან შემოდინებული ფულადი გზავნილების გაზრდილი მოცულობით. უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო მოგზაურობებიდან მიღებული

შემოსავლები წლის განმავლობაში კიდევ გაიზრდება. თუმცა მოსალოდნელია, რომ ლარის გამყარება გავლენას იქონიებს კონკურენტუნარიანობაზე და გამოიწვევს სავაჭრო დეფიციტის ზრდას. ამ ტენდენციების გათვალისწინებით, მოსალოდნელია, რომ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მშპ-სთან მიმართებით, 5,5%-ს მიაღწევს (სებ, აგვისტო 2023).

აქტიური ტურისტული სეზონის მოახლოებასთან ერთად, საქართველოში საგრძნობლად მოიმატა საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობამ (საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2023). 2023 წლის მე-2 კვარტალში, საერთაშორისო ვიზიტორების ზრდის მაჩვენებელმა წლიურ 59%-ს მიაღწია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს მაჩვენებლები კვლავ 23%-ით ჩამორჩება 2019 წლის იმავე პერიოდში არსებულ მაჩვენებლებს. შემოსული უცხოეთის მოქალაქეთა ნაკადი მოიცავს არამხოლოდ ვიზიტორებს რუსეთიდან, ბელორუსიიდან და უკრაინიდან, არამედ გაზრდილია ვიზიტორთა რიცხვი ევროკავშირის ქვეყნებიდან, ისრაელიდან და ინდოეთიდან.

2023 წლის მე-2 კვარტალში უცხოელი ვიზიტორების რაოდენობის ზრდამ და დიდი რაოდენობით მიგრანტის მუდმივად შემოდინებამ განაპირობა საერთაშორისო მოგზაურობების შედეგად მიღებული შემოსავლის 1 მილიარდ აშშ დოლარამდე ზრდა (სებ, საქართველოს საგადასახდელო ბალანსი-6). ეს კი წლიური მაჩვენებლის მნიშვნელოვნად, 34,8%-ით ზრდას ნიშნავს. მეზობელი ქვეყნებიდან მიგრაციის შედეგად შემოსული ვიზიტორებისგან მიღებული შემოსავლების გარდა, კვლავ გაუმჯობესდა სხვა ქვეყნებიდან ვიზიტორების შემოდინების შედეგად მიღებული შემოსავლების მაჩვენებელიც. აღნიშნული მოიცავს ვიზიტორებს თურქეთიდან და ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან.

2023 წლის მე-2 კვარტალში შემცირდა რუსეთიდან შემოსული სწრაფი ფულადი გზავნილების რაოდენობა (10,5%-ით) და 1,1 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა (სებ). შემცირება უმეტესწილად განპირობებულია საბაზო ეფექტით. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთიდან შემოსული ფულადი გზავნილები მთლიანი მაჩვენებლის კვლავაც მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს, მათი რაოდენობა შემცირდა, რამაც საერთო მაჩვენებლის ზრდის შენელება გამოიწვია. აგრეთვე, საგრძნობლად გაიზარდა სწრაფი ფულადი გზავნილების რაოდენობა ევროკავშირის ქვეყნებიდან (5,1 პპ), აშშ-დან (2,5 პპ) და ისრაელიდან (0,4 პპ).

2023 წლის მე-2 კვარტალში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენდა. განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 30%-ით გაიზარდა და 506 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უმეტესობა განხორციელდა წარმოების, ენერგეტიკის და საცალო ვაჭრობის სექტორებში (საქსტატი).

საჯარო ფინანსები

ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი შემოსავალი წლიური 24,2%-ით გაიზარდა და 5,8 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც უმეტესწილად განპირობებულია გადასახადებით მიღებული გაზრდილი შემოსავლებითაა (წლიური +23,9%) განპირობებული. აღსანიშნავია, რომ ამ ზრდას, უპირველეს ყოვლისა, ხელი შეუწყო საქონელსა და მომსახურებაზე (წლიური +13,9%), შემოსავალზე, მოგებასა და კაპიტალზე (წლიური +32,8%) დაწესებული გადასახადებით მიღებული შემოსავლის ზრდამ (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2023).

საანგარიშო კვარტლის პერიოდში 12,5%-ით გაიზარდა მიმდინარე სამთავრობო ხარჯებიც და 4,5

მილიარდი ლარი შეადგინა. აღნიშნული ხარჯებიდან 28.7%-ით გაიზარდა საპროცენტო ხარჯები (წლიური 28,7%-ით) და შემდეგ კატეგორიებში შემავალი დანახარჯები: სუბსიდიები (წლიური +12,9%), საქონელი და მომსახურებები (წლიური +21,2%) და თანამშრომლების ანაზღაურება (წლიური +20,4%). ამავდროულად, წმინდა არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი მე-2 კვარტალში, წლიურად, 50,5%-ით გაიზარდა და 1,214.5 მლნ ლარი შეადგინა. 2023 წლის მე-2 კვარტალში დაფიქსირდა ბიუჯეტის პროფიციტი და 77,4 მლნ ლარი შეადგინა. მთავრობის სავალო ვალდებულებები გასულ წელს არსებულ 27,7 მილიარდთან შედარებით 4,4%-ით გაიზარდად და 29,0 მილიარდი ლარი შეადგინა. გარდა ამისა, საგარეო ვალის წილი მთლიან ვალში 73,2%-ის ტოლია, რაც ქვეყნის გაცვლით კურსთან დაკავშირებულ რისკებზე მიუთითებს (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2023).